Suma Special L4

ავტომატური ჭურჭლის სარეცხი მანქანის სარეცხი საშუალება ხისტი წყლისათვის

აღწერა: Suma Special L4 – არის მექანიკური ჭურჭლის სარეცხი მანქანის სარეცხი საშუალება.

სპეციალურად შექმნილი კონცენტრირებული სითხე ხისტ წყალში ლაქების ამოსაყვანად.

ძირითადი მახასიათებლები:

Suma Special L4 – არის ტუტეშემცველი თხევადი სარეცხი საშუალება, რომელიც მიესადაგება მთელ რიგი ცალ– და მულტი რეზერვუარის მქონე ჭურჭლის სარეცხი მანქანებს. ლაქების ბრწყინვლედ ამომყვანი სითხე შედგება კაუსტიკური ტუტისა და გამწმენდი მაკონტროლებელი ნივთიერებების ნაზავისგან. მაღალი დონის გამწმენდი მაკონტროლებელი ძლიერმოქმედი ნივთიერება ამცირებს ხისტ წყალში ლაქების წარმოშობას.

Suma Special L4 – ის ხმარების წესების გათვალისწინებით, პროდუქტის გამოყენება საფრთხეს არ წარმოადგენს. დამტკიცებულია Unilever's– ის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი უზრუნველყოფის ცენტრის მიერ (SEAC).

დადებითი მხარეები:

- ამცირებს ცხიმსა და საკვების გამხმარ ნარჩენებს.
- მაღალხარისხიანი კონცენტრირებული სითხე იძლევა ეკონომიურად გამოყენების საშუალებას.
- ხელს უშლის ჭურჭლის სარეცხი მანქანის ლაქების წარმოშობას ხისტ წყალშიც კი.

გამოყენების წესები: Suma Special L4 –ჩვეულებრივ გამოიყენება **Diversey** – ის ავტომატურ დისპენსერებში. საჭიროების შემთხვევაში მისი გამოყენება ასევე შესაძლებელია შიდა დოზირების ტუმბოებთან ერთად. ხისტ წყალში სრულყოფილი წმენდის შედეგის მისაღებად გააზავეთ კონცენტრაცია 1.5 – 4მლ/ლ, დამოკიდებულია ადგილობრივ პირობებზე. 2მლ/1ლ წყალში, რომელიც შეიცავს 140 ppm$CaCO_3$ ხელს შეუშლის ნადების წარმოქმნას .
პირველად გამოყენებისას, გარეცხეთ ტუმბო და დოზირების სისტემის გადამყვანი მილები, რათა თავიდან აიცილოთ ამ მილებში პროდუქტების ნარევით გამოწვეული შესაძლო კრისტალიზაცია .

ტექნიკური მონაცემები

გარეგნული ფორმა: სუფთა გამჭვირვალე ყვითელი სითხე
pH (1% ხსნარი) 12.7

შედარებითი სიმკვრივე: 1.26

ზემოთნახსენები მონაცემები წარმოადგენენ ტიპიურ სიდიდეებს და სპეციფიკაციებად არ უნდა განიხილებოდნენ.

ინფორმაცია უსაფრთხო დამუშავებასა და შენახვაზე

პროდუქტის გამოყენებისა და განთავსების შესახებ სრული ინსტრუქციის ნახვა შესაძლებელია არსებითი უსაფრთხოების მონაცემების ფურცელზე.
შეინახეთ თავისივე კონტეინერში. მოარიდეთ მაღალ ტემპერატურას.
პროდუქტის თავსებადობა

მხოლოდ რეკომენდირებულ პირობებში გამოყენებისათვის, **Suma Special L4** –ის გამოყენება მიზანშეწონილია სამზარეულოს ნივთების უმეტეს ნაწილთან. არ გამოიყენოთ ტუტემგრძნობიარე შემდეგი შემცველობის ნივთები, როგორიცაა: სპილენძი, თითბერი, ალუმინი და რეზინი.